

## შემთხვევათა ანალიზი

### მძიმე სოსიალური პირობებში მსხოვრები და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები

#### ფაქტობრივი გარემოება

ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მოამზადა სიუჟეტი, რომელიც სოციალურად გაჭირვებულ ოჯახს ეხება. დედას ერთი შვილი მოუკვდა, ხოლო მეორე შვილს იგივე დიაგნოზი აქვს. სიუჟეტი იწყება მარიამის ისტორიით: „ეს შეწყვეტილი დედაშვილობის სიმბოლოა, მაისური რომელიც შვილს სიცოცხლის ბოლო წუთებში საკუთარი ხელით ჩააცვა. [კადრში ჩანს როგორ კეცავს მაისურს ქალი] მაშინ მარიამი კლინიკაში იწვა და სიცოცხლისთვის იბრძოდა“, - ამბობს ჟურნალისტი. მასალიდან ცნობილი ხდება რომ მარიამს განუკურნებელი დაავადება სჭირდა და გარდაიცვალა. სიუჟეტში დედა საკუთარ წუხილს ტირილით გადმოსცემს, ასეთ დროს ფონად ჩანს გოგონა, მისი მესამე შვილი. „კუნთების განღევა - ასეთი სახელი მოუფიქრა მედიცინამ მარიამის ბრძოლას არა განუკურნებისთვის, არამედ სიცოცხლის კიდევ ერთი, მომდევნო დღისთვის“, - ჟურნალისტის ამ სიტყვებზე ჩანს ეტლში მჯდომი მარიამი, რომელიც ამავე არხმა სიკვდილამდე გადაიღო. სიუჟეტს ფონად გასდევს სენტემენტალური მელოდია. შემდეგ ვიგებთ, რომ მეორე შვილს, გიგას იგივე დიაგნოზი აქვს - “მარიამის ოცნებებს ახლა გიგას ოცნებები ჰქვია, მარიამის ეტლს გიგას ეტლი, მარიამის დიაგნოზი, გიგას დიაგნოზი”, - აღნიშნავს ჟურნალისტი. კადრში ასევე ჩანს გიგა, რომელსაც დედა ეფერება, და კი ეთამაშება.

სიუჟეტის მეორე ნახევრიდან ცნობილი ხდება, რომ არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობების გამო გიგასთვის სამედიცინო პროცედურების ჩატარება და ეზოში ჩაყვანაც კი პრობლემაა. ოჯახის საცხოვრებელი არმაზის ხეობაშია, სადაც ექიმებს ჩასვლა უჭირთ. გარდა ამისა, დედას არ აქვთ მკურნალობისთვის საჭირო თანხები იმისათვის, რომ დაავადება „შეაჩეროს“.

სიუჟეტის ბოლოს ცნობილი ხდება რომ გადაცემამ ასობით კომპანიას დაურეკა, ერთერთმა კი თანხმობა განაცხადა ამ ოჯახისთვის ბინა ეჩუქებინათ. კომპანიის მფლობელთან ერთად ოჯახი მიჰყავთ იმ ადგილას, სადაც რამდენიმე თვეში სახლი აშენდება.

თემა მეორე დღეს დილის გადაცემაშიც გაგრძელდა სადაც ჟურნალისტთან მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელთან ერთად გადაცემაში მონაწილეობდა გიგაც. ჟურნალისტმა კვლავაც მოყვა ისტორია როგორ ცდილობდა გიგასთვის ბინის მოძებნას.

„შენი ოცნებები ახდა? შენ ხომ გინდოდა თბილისში გეცხოვრა და ისეთივე სრულფასოვანი ბავშვობა გქონოდა როგორც სხვა ბავშვებს აქვთ ... როგორ ხარ ახლა?“ გიგა მდუმარედ აქნევს თავს. მოგვიანებით კიდევ ეუბნება, „მალე სკოლაშიც ივლი და სრულფასოვანი ცხოვრებაც გექნება“. ბავშვს მთელი გადაცემის განმავლობაში ხმა არ ამოუღია.

არც სიუჟეტში, არც მეორე დღეს სტუდიაში საუბარი არ შეხებია ჯანდაცვის სისტემას, სოციალური დახმარების განაწილების სქემას, ამგვარი ოჯახებზე, ბავშვებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ერთერთმა წამყვანმა დანანებით აღნიშნა, რომ საზოგადოება „თანაგრძნობის დეფიციტს განიცდის“.

სიუჟეტის მომზადებას მოჰყვა შედეგი - ბინა მიიღო ბავშვმა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის კეთილდღეობას.

## სახელმძღვანელო დოკუმენტები

- **ჟურნალისტური ეთიკის ქარტის მე-8 მუხლის თანახმად**, „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის.“ ამავე მუხლის განმარტებაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოებრივი ინტერესი ბევრად უნდა აღემატებოდეს ბავშვის ინტერესს, რომ 16 წლამდე ბავშვის შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო.“
- **ბავშვთა კონვენციის მე-17 მუხლი** აღიარებს მედიის მნიშვნელობას და მასალების გავრცელებას „ბავშვის სოციალური და კულტურული კეთილდღეობისთვის“ და „იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა ბავშვის კეთილდღეობისათვის.“
- **ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები, რომლებიც ეხება ბავშვების საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს:** ბავშვებთან და ბავშვების კეთილდღეობასთან დაკავშირებული ჟურნალისტური საქმიანობა ყოველთვის უნდა ხორციელდებოდეს ბავშვთა დაუცველი მდგომარეობის გათვალისწინებით

## სადისკუსიო კითხვები:

- უნდა მოემზადებინა თუ არა ჟურნალისტს სიუჟეტი ისე, რომ სრულად წარმოაჩინა ბავშვის დაავადება და არაერთგზის გაუსვა ხაზი რომ არ იკურნება?

- რამდენად იყო საჭირო დიდი დროის დათმობა უკვე გარდაცვლილ დაზე და აქცენტი იმაზე, რომ ძმასაც იგივე დაემართება?
- რამდენად მიზანშეწონილია ბავშვის უმძიმეს დაავადებაზე, მის ფატალურ შედეგებზე კომენტარის ჩაწერისას, გვერდით მისი გამოჩენა და მისი თანდასწრებით საუბარი?
- უნდა ჩაესვა სიუჟეტში ისეთი დეტალები, როგორცაა მტირალი დედის კომენტარი, სევდიანი მუსიკა, სენტიმენტალური ტექსტი?
- ამ დეტალების გარეშე იქნებოდა თუ არა სიუჟეტი ემოციური?
- თუ არ იქნებოდა, უემოციო სიუჟეტი გამოიწვევდა თუ არა ადამიანების თანაგრძნობას და ბავშვისთვის დახმარების სურვილს?
- მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ეთერში გასვლამდე ჟურნალისტის მიზანი უკვე მიღწეული იყო და ბავშვისთვის საჩუქრად სახლის გადაცემა გადაწყვეტილი, მაინც საჭირო იყო თუ არა დიდი აქცენტის გადატანა დაავადებაზე, მის გამომწვევ სასიკვდილო შედეგზე და გარდაცვლილ დაზე?
- არის თუ არა ჟურნალისტის მოვალეობა ქველმოქმედება?
- თუკი ჟურნალისტს შეუძლია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვს მდგომარეობა გაუმჯობესოს ღირს თუ არა სენტიმენტალური ისეთი სიუჟეტის მომზადება, სადაც სრულად იქნება წარმოჩენილი მისი მძიმე დაავადება და მდგომარეობა?
- როდესაც ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და სოციალური დახმარება საკმარისი არ არის მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის თუ არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მასზე ზრუნვა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენად მართებული იქნებოდა დაინტერესებულიყო ჟურნალისტი სახელმწიფოს მიდგომით, იმით თუ რომელი რგოლი ვერ მუშაობს გამართულად, რადგან პრობლემა არსებობს და მხოლოდ ამ სიუჟეტის გმირს არ ეხება?
- რამდენად სწორია წამყვანების მხრიდან პასუხისმგებლობის მხოლოდ საზოგადოებაზე დაკისრება, რომ ბავშვის ამ მდგომარეობაში ყოფნა მოქალაქეების თანაგრძნობის არ ქონის ბრალია?
- ხომ არ არის არასამართლიანი მიდგომა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ, რომელთა მდგომარეობაც მედიის ყურადღების ქვეშ ვერ ხვდება და შესაბამისად, დახმარებას ვერ იღებენ?
- ამ სიტუაციაში ხომ არ სჯობს კონკრეტულ ამბავთან ერთად აქცენტი სახელმწიფოს არაეფექტურ მუშაობაზე გაკეთდეს, რადგან ქველმოქმედების გარეშე ბავშვის მდგომარეობა ვერ უმჯობესდება?
- უმჯობესი ხომ არ იქნება კონკრეტულ ამბავზე ფოკუსის ნაცვლად ქვეყანაში არსებული ვითარება გამოჩნდეს?
- როგორი გაშუქება მოიტანს შედეგს - ბავშვ(ებ)ის მდგომარეობის გაუმჯობესებას?